




# საბჭოთა კავშირი

გამეთი გამოცემის  
1921 წლიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.



**გუშინ და დღეს  
გაიგართა  
საქართველოს  
რესპუბლიკის  
პირველი მოწვევის  
უზენაესი საბჭოს  
სესია. მის ანგარიშს  
შეხვედრის ნომარა  
შემოგთავაზებთ.**

**პატივცემულ ანატოლი ივანეს ძე!**  
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს, რომელიც გაეცნო სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დადგენილებას „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქში მდგომარეობისა და რეგიონში ვითარების სტაბილიზაციის ღონისძიებათა შესახებ“ საქონლდ მიანიჭა განაცხადის შემდეგ.

უწინარეს ყოვლისა, პროტესტი უნდა განვაცხადოთ იმის გამო, რომ თქვენ კვლავინდებურად გგოვოდებთ „საქართველოს სსრ რესპუბლიკას“, და არა საქართველოს რესპუბლიკას. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს, რომელიც დადებითად აფასებს იმ ფაქტს, რომ სსრ კავშირის უზენაესი საბჭო ადასტურებს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის სუვერენულ უფლებებს და იმას, რომ საქართველო უკანონო შეიარაღებული ფორმირების გამოყენება და დამლა, იარაღის უკანონო წარმოების, შენახვისა და გავრცელების აღკვეთა, კონფლიქტის გადაწყვეტის გზად მიანიჭა არა სავანებო წესების შემოღება „სამხრეთ ოსეთის მთელ ტერიტორიაზე“ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების მონაწილეობით, რაც გამოიწვევს დამატებითი ესკალაციას იმ რაიონებში, რომლებსაც სრულიად არ შეეხება კონფლიქტი და სადაც არ მოლაშქრებებს არავითარი მხარდაცერა არა აქვთ, არამედ ქალაქ ცხინვალსა და ჯავის რაიონში მოქალაქეებზე უხელოება. სამხედრო ტექნიკით შეიარაღებული ოსი ექსტრემისტების დაუყოვნებლივ განიარაღება. სსრ კავშირის და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროების ძალების დაქვემდებარებაში მყოფი კონფლიქტის ყველაზე საშიშ წერტილში მშვიდობის დამყარების აქციის განხორციელების შესახებ ლეგალობას. არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ იმ რაიონებში სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების გამოყენების პოლიტიკური შედეგებიც, რომლებსაც არ შეეხება კონფლიქტი და სადაც არ მოლაშქრებებს არავითარი მხარდაცერა არა აქვთ, არამედ ქალაქ ცხინვალსა და ჯავის რაიონში მოქალაქეებზე უხელოება.

## სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ა. ი. ლუკიანოვს

ვითვალისწინებთ იმ რაიონებში სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების გამოყენების პოლიტიკური შედეგებიც, რომლებსაც არ შეეხება კონფლიქტი და სადაც მშვიდობიანად ცხოვრობენ ოსთა და ქართველთა ოჯახები. ასეთი რაიონი მრავალია ყოფილი ოლქის ფარგლებს გარეთაც, სადაც 100.000 ოსი ცხოვრობს. მთავარია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების არსებული ძალებით წავართვათ ოსი მოლაშქრებებს ქალაქ ცხინვალსა და ჯავის რაიონში როგორც ქართველი, ისე თვით ოსი მოსახლეობის ტერიტორიების შესაძლებლობა. ყოფილი ავტონომიური ოლქის სხვა რაიონების მოსახლეობის უსაფრთხოების თავდაცვა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს დადგენილება არ ითვალისწინებს, რომ ელექტროლოკადა შემოილო ენერგეტიკოსთა დამოუკიდებელმა კავშირმა ოსი მოლაშქრებების კონტროლს დაქვემდებარებულ ქარხნებში იარაღის წარმოების პასუხად, სადაც ხელი ვერ მიუწვდებოდა საქართველოს სამართალდაცვის ორგანოებს. ამიტომ მხოლოდ ქარხნებისათვის მისაწოდებელი ელექტროენერჯის გამორთვა შეუძლებელია.

მაგრამ უარი უთხრეს. ისინი მოლაშქრეთა შედეგებად დარჩნენ. სურსათი, რომელსაც აწოდებდნენ, დანიშნულებისამებრ ვერ მიდიოდა და მოლაშქრებებს რჩებოდათ. ამჟამად რეგიონში არ არსებობენ პოლიტიკური ძალები, რომლებსაც შეუძლიათ აწარმოონ მოლაშქრებთა კონფლიქტის მოწყობის გზაზე. სხვადასხვა დაჯგუფებანი ომობენ ერთმანეთს შორისაც, და არც ერთ მათგანს არ შესწევს უნარი შეწყვიტოს მოლაშქრეთა მოქმედება.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში მზად არის აწარმოოს მოლაშქრებთა შიდა ქართლში ოსი მოსახლეობის წარმომადგენლებთან, რომლებსაც აქვთ ასეთი უფლებამოსილება, მაგრამ იმ პირობით, რომ ამავე დროს განხორციელდება ეფექტიანი ღონისძიებანი ოსი მოლაშქრებების მოქმედების შეწყვეტისა და სავანებო წესების იოქმედების ზონაში. სრული უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, რადგან უამისოდ თავიდან ვერ ავიცილებთ ოსთა მხარის წარმომადგენლების ტერიტორიებს, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ მოლაშქრებთა კონფლიქტის მოწყობისათვის თაობაზე.

დასაბრუნ, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს არ შეუძლია სინანულით არ აღინიშნოს, რომ „მოქალაქეთა, მთელი რიგი სახელმწიფო დაწესებულებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საოლქო თეატრის დაწესისა და გაძარცვის“ ისტორიისა და კუ-

ლტურის ძეგლების წაბილწვის“ შემთხვევები, რომლებიც აღნიშნულია სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დადგენილების პრეამბულაში, აშკარად წარმოდგენილია როგორც ქართველთა მხარის ვანდალიზმი, მაშინ როცა აქციების უდიდეს უმრავლესობას სჩადიან ოსი მოლაშქრები (სხვათა შორის, გაძარცვულია ქართული საოლქო თეატრიც, დამწვარია ქართული სკოლები და ა. შ.), რამაც საპასუხო რეაქცია გამოიწვია. რატომღაც სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დადგენილება დუმილით უვლის გვერდს კონფლიქტის სათავეებს, რაც ამხნეებს ოს ექსტრემისტებს და კიდევ უფრო ამწვავებს კონფლიქტს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ქალაქ ცხინვალშიდან გაძევებულია ქართველი მოსახლეობა, ცხადი ვახდება, ვინ არის იმ ძარცვისა და ძალმომრეობის აქციათა ინიციატორი და გამტარებელი, რომლებსაც ქართველებს მიაწერენ. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამ ბოლო ხანს საქართველო მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ ვანდალური დეზინფორმაციის ობიექტად იქცა, რაც მხოლოდ ამწვავებს ისედაც დაძაბულ ვითარებას. ამის გამო პროტესტს აცხადებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.

რეგიონში და უწინარესად, ცხინვალსა და ჯავაში მხოლოდ ყველა შეიარაღებული ფორმირების დაუყოვნებლოვ განიარაღება მოგვცემს შესაძლებლობას ვაწარმოოთ ნაყოფიერი მოლაშქრებთა ოსი ექსტრემისტების მიერ დაწყებული შეიარაღებული კონფლიქტის პოლიტიკური მოწყობისათვის თაობაზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს და უწინარესად, ცხინვალსა და ჯავაში მხოლოდ ყველა შეიარაღებული ფორმირების დაუყოვნებლოვ განიარაღება მოგვცემს შესაძლებლობას ვაწარმოოთ ნაყოფიერი მოლაშქრებთა ოსი ექსტრემისტების მიერ დაწყებული შეიარაღებული კონფლიქტის პოლიტიკური მოწყობისათვის თაობაზე.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე**

**ზ. გამსახურდია.**

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობა

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოებმა უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებს უკვე ჩამოართვეს 2 ტანკი, 3 ჯავშანტანკი, 2 სეტყვის საწინააღმდეგო ქვეშეხი, 1 ტყვიამფრქვევი, 12 ავტომატი, 25 პისტოლეტი, 12 ხელყუმბარა, 11 შაშხანა, 5 კარაბინი, 16 სანადირო თოფი, 11 რაცია, სხვადასხვა მარკის 151 სატვირთო და მსუბუქი ავტომანქანა.

### სარედაქციო განცხადება

რედაქციაში მოტანილია მიმართვა საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, დღეს საქართველოში მოქმედ ყველა პარტიას, რომელსაც ხელს აწერენ ინტელიგენციის წარმომადგენლები. მასალა დასაბამად გზად იყო, როცა ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ რამდენიმე ავტორმა უარი განაცხადა ხელმოწერაზე, ზოგამაც დაგვირგაბა და წინააღმდეგობა აგვიტარა.

ვახვიძა მის გამომცემებაზე. ზოგიერთი ხელმოწერის სათუთა და მტკიცე კიდევ გუშინდელ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამომცემებაზელი ბატონ გეგაზ ჯაფარიძის წერილით. ამდენად, რედაქცია იძულებული იყო გოლო მომენტში ამოეღო ეს მიმართვა გაუთიდან. უმჯინელი სიტუაციის გამო რედაქცია სთხოვს მიმართვის ავტორებს, ვისაც სურვილი აქვს, მოგვრანდეს რედაქციაში და ხელმოწერით დაადასტუროს მიმართვის ავტორობა.

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის პრეფაქტად დანიშნა

- მესტიის რაიონში — ციხლა სამსონის ასული გულდანი ზესტაფონის რაიონში — ჟანი დიმიტრის ქე სახვარელიძე
- ლაგოდეხის რაიონში — მალხაზ გიორგის ქე სუციფვილი
- აღიჯენის რაიონში — არჩილ ფელიქსის ქე კვახაძე
- ბაღდათის რაიონში — ნუგზარ ივანეს ქე ცერცვაძე
- ჩხოროწყუს რაიონში — ვალერი მინილის ქე გაბელია
- ახპინძის რაიონში — ვახტანგ სიმონის ქე დათაფვილი
- წითელწყაროს რაიონში — ნოდარ ალექსანდრას ქე პატაფური
- ხობის რაიონში — ვერაზ ფოთას ქე კუხალაფვილი
- ხილნალის რაიონში — შანუე იაფების ქე დარჩიანფვილი
- თიანეთის რაიონში — ნუგზარ შალვას ქე ჩაჩავა
- ქარელის რაიონში — ნიკოლოზ მთარის ქე შუბინიძე







დასრულებული რეპორტაჟი...

დღეს უკვე ერთი წელია, რამდენიმე თვის შემდეგ...

გორის შინაგან საქმეთა საქალაქო-რაიონულ განყოფილებაში...

ეს ყველაფერი გასულ შაბათს დაიწყო, დამის 12 საათზე...

ამის შემდეგ თვითონ ავანტიურა დაიწყო...

ყოფილ მძევლებს გორის ცენტრალურ რაიონულ საავადმყოფოში შეგვხვდით.

ღერის ხევისტანი, სამგორის რაიონის მილიციის რიგითი თანამშრომელი: ჩვენს განყოფილებაში...

მთელი ამ ხნის მანძილზე გვცემდნენ, გარეთ თითო-თითო გაგვყავდით...

იტენანტი მერაბ კახაბრიშვილი. — დიახ, ყველა გვცემდა...

ვენობ, ისე როგორ მოგვცდები, მაგათ ვეღარ შეგვხვდე.

— ასე ჩვენს კინოფილმებში თუ აწამებდნენ ხოლმე...

— მოკლედ, კიდევ სადაც მიგვიყვანეს. მთელი სოფელი გვცემდა...

— იცით რა, ქალი საერთოდ ლმობიერია ბუნებით...

— შუადამის ტყვეებზე გაგვეცვალეს, აბა, დელო, დელო...

არადაამიანური სახეები ვიხილე, და საოცარი ზიზღი, სიძულვილი...

ყველას მალე გამოჯანმრთელებას ვუსურვებთ და ახლა გორის საქალაქო საავადმყოფოში...

გორის რუსთაშვილი, თსუ საინჟინერო-ეკონომიური ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი...

სიყვარული და სიბრძნე ერთიანად გაუქვია...

ვილი და რუსიელი მალე მდებრივი მოგვიკვლეს — ამბობს იგი.






გარეთ დაღამებულა. — ექვსი საათის მერე ხალხი ქუჩაში გამოსვლას ერიდებოდა...

— აქეთობისას ავტონისპექციის საგუშაგოსთან მეგზურმა მილიციელმა...

გორიდან წამოვედით, მაგრამ ეს რეპორტაჟი არ დასრულებულია...

მაია თუნაძე, ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი.

ოლეგ გველესინის ფოტოები. გორი-თბილისი.



საქართველოში მწვანეთა მოძრაობამ და მწვანეთა პარტიამ მოგემართა თხოვნით...

კახეთში, კერძოდ მდინარე ილიტისა და მდინარე ლაქტუხე...

რად ილაშქრებდა მშენებლობის წინააღმდეგ.

ყოფილად გამოვლენის მიზნით. კომისიაში გაერთიანდნენ...

კომისია, უპირველეს ყოვლისა, გაეცნო მშენებლობის პროექტს...

რობებზე და ეს იმ დროს, როცა ჩვენს მუხსიერებაში ჯერ კიდევ...

რუკის შედგენა და მის საფუძველზე მშენებლობის ნორმატიული...

კახეთში მშენებლობის პროექტის დასაბუთებას, რომელიც...

დევები სამეცნიერო ანგარიშის სახით დროულად გადასცა დამკვეთ...

ამიტომ დიდი გაკვირვება და შეშფოთება გამოიწვია პრესაში...

კახეთში, სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტის საფუძველზე, რომელიც...

ჩვენთვის გაუგებარია თუ ისეთი რა ექსპერტის ჩატარებული...

საშიშროების შესახებ? რა იგულისხმება საზოგადოებრივი აზრის...


საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი: დიმიტრი სალუაშვილი.







ახალი ლექსები



მკა ბაქრაძე 15 წლისაა

გაუზინ მკა ბაქრაძე 15 წელი შეუსრულდა. ბრადიციონარმა, პრეზენტაციის მქონე მწიგნობარმა ახალ ციკლს, რომელიც ეძღვნება მწიგნობრის დაწესებულების მონაწილეობით მიღებული შთაბეჭდილებების მიხედვით.

მიაყურად... გაცრეცილი ღამის სიფითრე როგორ ინთქმება ნისლისფერი ზეცის კალთაში... ცოტაც და ალბათ, განთიადი, ისევ იფეთქებს. ცოტაც და ალბათ, ზეცის დაფარის ისევ გადვლში... მე შევეჩვიე თვითმფრინავის დახშულ გუგუნს და ზეცის ქონგურებს — ბოლჩასავით მხრებზე შემოსმულს აღარ ვუფრთხივარ კუნაპეტე ღამის უკუნს და უცხო სინათლეს — ჩემში შემოსულს... ასე მალეღვებს ამ სამყაროს უსასრულობა, ვით ბედისწერა და განგების გარდუვალობა. აღარ განვიციდი უხერხულობას — ამ უთავბოლო დარღუბალობას. ზეციდან მიწა სხვაგვარად მოჩანს სიშორე სულსაც აფორიაქებს ურა კვიცივით ურჩსა და თჩანს — სულს ცა სიმშვიდის ბურანს მიაგებს... სიმართლისა და სიშორის მიღმა იღუმალების მძიმე კარიბა. პითქო ღმერთებმა თავისთან მიხმეს, განვიციდი, ვშფოთავ და მიხარია...

შენ ჩემს ნატერისფერ შორეთში ჩანხარ, ვით გაოცება და მოჩვენება მხოლოდ საკუთარ სიმაღლეს გავხარ ანდა სიმაღლის ამოჩვენებას. ეგზოტ მკაცრი და მიუწვდომელი შენ საკუთარი სიმაართლით სუნთქავ და არ გაღვლეებს დაუცხრომელი ჩემი ფუსფუსი, დარიდი და სულთქმა. შენ საზრუნავიც, სხვაგვარი გინანს და საკუთარ პირსაც საკუთრივ სწამლობ. მე გიწილადებ დათმების ნიქს და სიმაართლეს — ახლა შენგან რომ ვსწავლობ. გაივლის დრო და ალბათ, ოდესმე მიხედვები ჩემი ღმერთის მიზეზს რისი იმედი უნდა მქონდეს მე, როცა ურჩხული ხანაში მიმზერს.

ჩვენ გვიმაღავდნენ შენს ბრწყინვალეობას და ათასგვარი დიტირამებით გვარწმუნებდნენ, რომ... სწორედ ამიტომ, ძვალსა და რბილში გამჯდარი შიში — „სიფრთხილეს თავი არ სტყვიდა“ აგორებულნი ქვესავით წამომეწია და...

განწირული ბოროლასავით — მთელი სიცოცხლე საბელშეშბული რომ დაეღორუნობ. ვ, მდღღარე ცრემლით გამოიტირეს!

ბოლოს: რაც არის არის, სადაც სხვა, იქ ჩემიცაო... ხელი ხაიქინებს და...

ახლა შენთან ვაო... ოცნების რა ნატარის ეღვმად დავსახა... ვინც სიღრე მკვიდრად გაშენა. ხარ უვალს... სიკვი და სინათლის კბოდე. უცხ რამ სხივი... და იურ გონის უცხოდ მამშვენად. აცოდი, შენი სიღრდე დამლოიდა ერთობ. მანძი არ გიფრთხი — უფრო მეტიც: კიდევაც მართობს ეს ფაცი-ფუცი, საქმიანი შენი იერი. ხარ მშვენიერი, უფრო კარგი ვიდრე მეგონე... უფრო დამყოლი, უფრო მკაცრი და ლომბიერი...

ავფორიაქდი... ნეტავ ახლა ჩემს სახლში ვიყო... (ბატონი სოსო თანაგრძობის ცვალით მიყურებს) ჩემს ღარდს და სევდას საგზალივით ლელასთან ვიყოფ.

ავენიუებს შევლიმიღებ და თავს ვიტყუებ...

დაეშაოებენ გოგონები, დარღმინდობენ ბიჭები. მე გულზე დარდი მადნება ეზოში გამიჩხეხეს ფიჭვები. ჩემი ალურა გაზაფხულზე ვაი, რომ ველარ გამახარებს ირგვლივ ყველაფერი გადათხარეს (ეს რა ლოკივები აიტენეს). დილით სადარბაზო აჩხორეს და კინალამ თავი გავიტყუე...

ბებო ქოთქოთებს, დილიდანვე დამზარეულობს. — მე შეგაჩვიე, ხარმაცებო, მზამზარეულოს. და ამ საბაბით არ შორდება სამზარეულოს...

თეონამ, ალბათ, მოიწყინა... როგორ მინატრის... ახლოს რომ იყოს, მეტყვის: — მოდი, ფქვილი გავფქნათო. როგორც ყოველთვის.

მერე სადმე კვერცხებს მიამთხვევს, მერე გულლიად შემომჩვილებს: — ახლა რა ვჩნათო? მე წარბს ავზიდავ, ვავიშკარებ ხმას და ცხადია, დავეუცხანებ — „ღაინახე, გოგო, რა ქენი! ნეტავ იცოდე, „სოფაფილა“ მომაქვს შენთვის და როგორც გუნებოს, ისე გაფქვინი“. პაატა, ალბათ, წერილს ელის... ქეთიმ დარეკა. დეიდას ისევ გაუწვრილა გული კითხვებით (რას დაარწმუნებ, რომ აჩქარად თბილად მაიცვია) პაპა კი ყველას ჩემად უსმენს, აბა რას იზამს, ერთი უთქმელი, დინჯი კაცია. მე მეზნატრებით... (ვიცი ვიცი ისევ დამხვდება) ყველა მიყვარხართ (ნეტავ ახლა თქვენი მამყოფა) ლალი, მიიკო, თამუსია... რა აბბით მელოთ, ისევ სიტყვები, ღმერთო ჩემო სიტყვა არ მყოფნის...

მე კოლორადოს უმშვიდესი ცხოვრებით ვცხოვრობ კარბონდელის ეგზოტიკა ბანგივით მსუსხავს, ვავრთვებ ჩემს წილ აღტაცებას, ღიმილს და სიბნოს, ამერიკული კოლორიტის არასრულ ნუსხას... ამ „რაფტინგებმა“, „შობინგებმა“ და პიკნიკებმა შეგვიყოლიეს... ჩვენც სილაღის საზღვარს ვცივლებით ახლა რომ მწახოთ, გეფიცებით, არ დამიფრებთ, ამ სითამაშით ათჯერ უფრო ვაგვიკვირდებით. ასე მოჩქეფავს კოლორადოს სავესე ცხოვრება, ვიდრე ოქროსფერ კანიონებს ვწვევთ ბინდი, მეგობრებისთვის ვავრთვებ „პრუზენტს“, ვალუტა ელვის სისწრაფით მიდის...

ემი, მაღლობას სხვანაირად ზომ არ ჩამითვლი, რომ მახარე შენი ცის და მიწის მშვენიებას. რომ ის დღეები, თითებზეც რომ ღამის ჩამოთვლი. არ არის მხოლოდ წამიერი რამ მოჩვენება. მე მესმის შენი სიამაყე, შენი სილაღე, მაგრამ თუ ხედები ჩემი კმუნვის იღუმალ სევდას ვასაგებია ჩემთვის შენი ქვეყნის სიმაღლე, თავისუფლებამ რომ გარგუნა შემკვიდრე ბედად. შენთვის უცხოა, ალბათ, ჩემი ცხოვრების წესი მე შენი პაპის პაპის პაპა გამოვებს მარტო. — ის ვინც სწორადან მოიყოლა მიხრევი ხემსი, მე ვინც უკუთარ მიწა-წყალზე საკუთარს ვებატრობ.

შენ ზურგის ქარი ვერგო წილად. მე კი — პირქარი... ძალოს თავი კი დამარბული სწორედ იქ არი, შენ რომ აზრდაც არ მოგივა, პოდა, იცოდე: შენს ღიღებამ ღამის წილი მე უფრო მიღვს, რადგანაც შენი მოსახვედრი მე მოვიხვედრე, მე — იმპერიის მარწმუნებში გამომწვევდული, ცხენის ძუაზე გამობმული გულმკერდით ისტორიის ოდრო-ჩოლორებს ვებღერებდობი, მე — ვისაც ურცხვად გამოყლეს მიწა და ახლაც ნიორში ნაქუნს არ მიტოვებენ...

შენ ამოსუნთქვის უფლება კი წართვი შენ თავს, რადგან იცოდი: თუ ის მხედარი დაგწვოდა, დღეს დაგაწვდა ჩემზე უარესს. პოდა, ცხადია უნდა გაგესწრო, შეცდომების უფლება კი მართლაც არ გქონდა... თორემ... საათივით აწყობილი კაპიტალიზმი თხის ფეხებზე შემომდგარი ხუხულასავით პირდაპირ თავზე დაგვეტეოდა...

ამ გამაღებულ მართონში აგერ, ღამის სიუკუნე გამოგწვრეთ... დახარჩენი კი... თავდაც იცი... პოდა, რად გიკვირს, ახლა ასე დალილი რამ მხედავ, ცოტაც მაკადე, მერე დაქსნდეთ და რამდენიც გინდა ვილაპარაკოთ...

ვიცი, მიჩვენებ ცხთამბეჩენებს და ფოლიანტებს, უნაკლოდ შემკულ ვიტრინებს და ამაყ კოპორტებს, ისურვე მხოლოდ, რაც გუნებოს, ოღონდ ინატრე, რა ვფიქრებ, რა სერვისი... ან რა კომფორტი... და „ნოუ პრობლემ“ და გულღია შენი ღიმილი, და დროის ყადრი, სიტყვისა და საქმის ერთობა. მე იმ ნეთის მთელგაურ სინათლეს ვადრი, ღამეულ ქილაქს წამისადაც რომ არ ეთმობა... ვიცი, ბევრი გაქვს მაცდუნებელ-მისატყუარი, მშვენივრად ვიცი კიდევ რას და რატომ მიჩვენებ, მაგრამ, ღმერთმანი, სამართალი სადმე თუ არი, რა გქნა და... ასე ხელაღებით ვერ დაგაფრებ.

შენ ის მითხარი, დავით ვარჯის და ვარძის თუ რამ ბადალი გაგაჩნია. აღმაშენებლის საღარი წინაპარი თუ ვაყავს, ვისი გორისა რა ვაჩნია, სვეტიცხოველი, იყოლოთ და ალავერდი მაინც ხომ ნახე, ნიკორწმინდა თუ არ გინახავს, საუკუნეთა სიღრმეებში ჩაწულ ჩემ ფსევებს ჩახედე და

მერე მითხარი: „რა ვარ... ვინა ხარ?“ მოდი, გულდამით წაიკითხე სისხლით დამწერილი ჩემი მატინე, თავი დაანებე „მოღერნ-თოქინგს“ წაღმა-უკლმა რომ ატრიალებ... თბის ქინკილა რომ მიჩვენე და აღტაცებული მიყვიბოდი ორასი წლის წინანდელ ისტორიას, ჩემი ვანი და უფლისციხე ღამის ნეოლითის ხნის ტოლია, ჩემსაც რომ ჩემად დავიგვლებ წელზე ფეხს დავიღვამ და დღე-ღამის ვავსწორებ, ცათამბეჭებსაც ავზიდავ და ერთთადაც ვადაგწონი... ცოტას ვავიკირებ, ბევრსაც მოვიკლებ და ათასხუთასი წლის ნაჭაფარი ვინძლო წყალში არ ჩამიცივდეს, ვის რას შეგარჩენ და დავანებებ უწინამც მახა გამიცივდეს...

ის იღვა მშვიდად... და ჭოტად გაწვილი ხელით ვითომ სიმაართლის გზას მიჩვენებდა. რაც დღემდე მკირდა, სულ შენგან მკირდა, აბა, მე, ვინ რას დამიჩვენებდა, ვაი, რა საუკუნე ჩაიღვრეთა, გულო, აწი მაინც ვაინარე ჩემი სიმაართლეა ჩემი ღმერთი,

შენ შავი სამარე გაითხარე... ახლა ყველაფერი შეიცვალა; თბილისს ქართლის დედა დამფოფინებს, მტერი და მოყვარე შევიცანი, კირი და ვაება მამყოფინე.

აწი მე ვიცი რა და როგორ უნდა ვაქეთო. თითქოს თვალში ველარ წამტაკებ — რა გზით ვიარა?! შენგარ და ვსწავლობ ისტორიის მწარე გაკვეთილს რომ ჩემს მამულში აღარავინ ჩავიხიარო...

დღას საქართველო!!! სრულიად საქართველო... ავი სენისაგან თავისუფლია... მაღალ კვაოცხობდებიდან დაღ-თბილისქალაქს ავი მზერა აღარ გადაკურებს. ღმერთო დაგვიფარე, მართამ ღვთისმშობელო, სიკეთის კალთა გადაგვხურა.

ჩვენ გადავლახეთ უკუნეთის მღვრიე მორევი მე ახლაც ასევე მეციხოვნის აბჯარს ვატარებ შენ მინატრები — აღმშენებლის წარმატე შორეთით ღვთისმშობლის წილობედრს ქვეყნად აბა რას შეგაღარებ... განთენა კარნი... მუხომოყრილი შენუდ ვლოცულობ სწორედ იმგვარად, განბრძმედილი მინდა ვთხილო. არ დამბალო სატყვიარი, შეგად მოვსულვარ ყველაზე წინდა ოცნებანიც არ გამიზნოლო ახლა როდესაც ჩემს მამულში სტუმრად კი არა, თავისუფლებად, მეგუნედ და შეგად მოვედი მამოცივი ნება სიმაართლით და რწმენით ვიარო აბა, მითხარი, სხვანაირად როგორ გპოვებდი? მე მინატრები ასე მშვიდი, ისე მაღალი, როგორც თამარის ლურჯი ზეცა ვით შოთას სიბრძნე შენს საკურთხეველს, შენს ციხე-გოქს ისევ დავხარია... რამეთუ მესმის, მჯერა შენი, რამეთუ გიგრძენ. არც მინატრია არასოდეს სხვა რამ მშვენიება, თავისუფლება საქართველოს დროშის ფერია, შენი კურთხევა უზუნაქს ღმერთებს ენებათ ჭვარი გწერია, ოთხივ კუთხით ჭვარი გწერია.





# თბალები კალთან ფართოდ გაბისელებიათ?

სწრაფი დიდი ხნით, მაგრამ დავისუქიან?

ასე მეგონა, რამაზ ჩანტლაძის ნახატები თვალზესა და გონებას შორის რომელიღაც წერტილში აქვთ მიმალილი და მივიწყებული აღამიანებს და ჩვენი ყოფა-არსებობის უმშვენიერეს წუთებში ახსენდებათ.

პირველი ფიქრი ეს იყო: ბუნების გრძობები — სტიქია, სიხარულს, სიყვარულს, ბრახს, სიძულვილს და საერთოდ ყველაფერს — ბუნება სტიქიით გამოხატავს... სტიქია დიდია — არაკონკრეტული და ვერშესახები...

ეს პირველი ფიქრი იყო.

არც ერთი სურათის სათაურში არ დამაინტერესა და არც ვიკითხე, იმიტომ, რომ ასე ვიფიქრე (მეორე ფიქრი) — აბსტრაქტულ ხელოვნებას სათაური არ სჭირდება-მეთქი.

თვითონ ასე თქვა: — აბსტრაქციას აღამიანი თავისი „შე“-თი აღიქვამს. „ეს ნახატი ვერ გავიგე“ არ არის სწორი ნათქვამი. თუ მოგწონს, ესე იგი გავიგე. სახელი კი ყველა ნახატს უნდა ჰქონდეს.

მე მაინც ვფიქრობ, რომ არ უნდა ჰქონდეს, რადგან მხატვრულად უდიდესი შემოქმედებითი თავისუფლება ეძლევა — ნამუშევრიდან შეთხზის მშვენიერი საკუთარი მოთხრობა... რაც ჩემთვის „გაზაფხული“ იყო, ის რამაზისთვის სხვის ნიშნავდა. მისი „წყალქვეშა სამყარო“ ჩემთვის სულაც არ იყო წყალქვეშა. მგონი, უფრო მეტიც.

ასეთი მოთხრობები რამაზ ჩანტლაძეს ბევრი აქვს. 1985 წლიდან, რაც თბილისის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტი დაამთავრა, რაც გადადო პლანეტრი და ძალიან ხმამაღლა და იქნებ ბანალურადაც რომ ვთქვათ — გავიდა სივრცეში...

რა კარგია, როცა გინდა და აკეთებ...

ჩვენი გარემო ნივთებია. მიწა, რომ ეს ნივთები უფრო ლამაზი გახადო. მიწა, რომ დიდ, თუნდაც პატარა... საერთოდ სახლში აღამიანებმა დაისვენონ. ნამუშევრისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია ვიზუალური, დეკორატიული მხარე, ანუ როგორ მოუხდება ოთახს, ინტერიერს... აი, ეს სურათი რომ დიდ სამხატვროლოში ეიღოს — ცუდი იქნება?

აბსტრაქცია სრული თავისუფლებაა — არსებულის გაზრებისა, დანახულის აღქმისა. (ეს მე ვიფიქრე).

თვითონ ასე თქვა: — ეს არის ჩვენი აზრების არათანაბარი ჩამოყალიბება იმის მიმართ, რაზეც ვმსჯელობთ, რაზეც ვფიქრობთ...

ალარ მოგიყვებით, როგორ მიღის მხატვარი ტილოსთან, როგორ იღებს ფუნჯს ხელში, რა გზა უნდა გაიაროს, სად და როგორ უნდა მივიდეს ნახატის შექმნამდე, შექმნის პროცესში, დასრულების მერე. იმიტომ, რომ ვიფიქრე — ეს მისი სამყაროა, რომელიც არც საგაზეთო წერილში დაიწერება, არც ამ ფოტოებით ითქმება, არც იმას ვიტყვი, რატომ ვერ ელვივა ამ ბოლო დროს რამაზი თავის ნახატებს...



თვითონ ასე თქვა: — არ ვლავ იმ ნახატების ბეზე, რომლებიც გავაჩუქე ან გავყიდე. იმიტომ, რომ ვინც იყიდა ან იჩუქა — მოეწონა. ამიტომ არ მაღიჯებს მათი ბედი.

იმას არ მოგიყვებით, რაც გითხარით. იმიტომ, რომ აბსტრაქცია ფიქრის თავისუფლებაა. თქვენ თქვენი თავისუფალი ფიქრი დაგებადბათ აუცილებლად, ოღონდ — ნახატებს თუ ნახავთ.

თბილისში თეთრ გალერეაში 1990 წლის გაზაფხულზე ჰქონდა პერსონალური გამოფენა. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკაში, იტალიაში, შვეიცარიაში, ავსტრიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში კი — ახალგაზრდა აბსტრაქციონისტთა ერთობლივ გამოფენებში მიიღო მონაწილეობა.

ბოლოს ეს შევნიშნე: თითქმის ყველა ნახატში (ერთ-ორის გარდა) ეკლესიაა სადაც — შეუმჩნევლად ან შესამჩნევად...

ალარც ვიკითხე — რატომ.



ამ რამდენიმე დღის წინ შედგა საქართველოს მთავრობის წარმომადგენელთა შეხვედრა ვალონის დელეგაციასთან ოფიციალურ დონეზე. რამდენადაც შეხვედრამ დადებითი ემოციები აღძრა საზღვარგარეთთან ურთიერთობის თვალსაზრისით, იმდენადვე დაგვიტოვა უკმაირისობის განცდა, რის შესახებაც ქვემოთ მოგახსენებთ.

ცნობილია, რომ კარგა ხანია, რაც ცენტრი თავისი შეხედულებისამებრ აძლევს საქართველოს მსოფლიო ასპარეზზე გასვლისა და კულტურულ ურთიერთობაში დამყარების შესაძლებლობებს. თავის დროზე ეს ალბათ, გამოწვეული უნდა ყოფილიყო შიშით ქართველთა მხარედი ეროვნული თვითშეგნების წინაშე და ამიტომ სასწრაფოდ გამოგონილ იქნა სიტყურა ძალიან გამოკვეთილი რესპუბლიკისათვის, რათა საკუთარი უფლებების თავისებური სუბლიმაციით, მოხვედრითი თავისუფლება ეგრძელო. მაგრამ გათვლა მზაკრული და ეშმაკური ვახლდათ — საქართველოს აძლევდნენ კონტაქტების დამყარების საშუალებას არა უშუალოდ უცხოეთის ქვეყნებთან, არამედ ამ ქვეყნების ამა თუ იმ რეგიონებთან, რითაც ფსიქოლოგიურად განამტკიცებდნენ პარალელურად ურთიერთობაში: იქ — ქვეყნის რეგიონი, აქ — ქვეყნის რეგიონი. ი. საქართველოს განეკუთვნებოდა არც ცალკე ქვეყნის როლი, არამედ რუსეთის რიგითი გუბერნიისა. ასე დაუფიქრებლად იგდო ზაარის მხარეს გერმანიაში, სიცილიას — იტალიაში, ბასკეთს (ნათესაობის მომიხეზებით) — ესპანეთში და ა. შ.

დღესათვის ამ სამეგობრო ხელშეკრულებების მიღად ნეგატიური შეფასება უმადურობა იქნებოდა ჩვენი მხრიდან — გარკვეულ პერიოდში ამ კავშირებში საქმალად მოუტანა სიკეთე საქართველოს — ქართული ეროვნული თვითმყოფადობის საზღვარგარეთისათვის გაცნობის ფელსა-

# ქვეყნისთვის თუ რეგიონთან?

ზრისით თითოეული ასეთი შანსი მეტად ძვირად გვიღირდა.

მაგრამ დღეს ჩვენ გვყავს ეროვნული უზენაესი საბჭო, თავისუფალ საქართველოზე ფიქრი რეალურ საძირკველზე დაფუძნებული და ამიტომ, მსგავსი ურთიერთობები, ვინ იცის, დამარბოვლებელი აღმოჩნდნენ ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზაზე — მომავალში საქართველო ოფიციალურ მოლაპარაკებებში გვესახება გერმანიასთან და არა ზაარის მხარესთან, იტალიასთან და არა სიცილიასთან, ესპანეთთან და არა ბასკეთთან (ამვე დროს, ეს არ ნიშნავს ზაარის მხარესთან, სიცილიასთან და ბასკეთთან კულტურული ურთიერთობების გაწყვეტას).

ამიტომაც იყო, რომ ვალონელთა ჩამოსვლა ჩვენ ცენტრის ძველი ხრიკების ინერციით განგრძობად მივიჩნიეთ. ხოლო სტუმარ-მასპინძლობის ჩვენებური კანონით, ცხადია, მასპინძლობაზე მათ უარს ვერ იტყოდნენ. მაგრამ, სამომავლოდ, ჩვენ მაინც გვსურს დავიტოვოთ იმედი, რომ საქართველოს სამთავრობო ურთიერთობები ექნება ბელგიახთან და არა ვალონისთან, ხოლო ვალონის დაუფიქრებლობა კახეთს, სამეგრელოს, იმერეთს თუ სხვა ქართულ რეგიონს!

სანდრო სულამანიძე,  
ჯაბა ჭაბუკიძე.

# პრიდუთ. თვითმკურნალობას

რესპუბლიკაში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოცულზრუნველყოფის სამინისტროს პრესცენტრის აუცილებლად მიანიხა შემდეგი განცხადების გაცეობა, რომელიც ვირუსული ჰეპატიტის პრობლემას ეხება.

ხალხში „ბოტკინის დაავადებების“ სახელწოდებით ცნობილი ვირუსული ჰეპატიტები 5 სხვადასხვა სრულიად განსხვავებული დაავადებაა. დღეს ეს დაავადებები იმდენად გავრცელებულია ჩვენს რესპუბლიკაში, რომ სერიოზულ საფრთხეს უქმნიან ერის ჯანმრთელობას. განზირდა ქრონიკული ფორმები, ოჯახური კერები, როდესაც ერთ ოჯახში იზოციარებულია მშობლებიც და შვილებიც, არის ოჯახის რამდენიმე წევრის სიკვდილის შემთხვევები.

ჰეპატიტების მძიმე ფორმა და დელტა ჰეპატიტები დღეს ყველაზე მეტად გავრცელებული ქრონიკული დაავადებაა, რომელიც წლების მანძილზე ფართოდ მიმდინარეობს. ასეთი ავადმყოფები ხდებიან სხვადასხვა პროფილის სტაციონარებში, სამედიცინო კონსულტაციებში, სადაც არ არის მათი დეტალური გამოკვლევის საშუალება, არ ხდება დაავადების ფორმისა და გამომწვევის დაზუსტება და ავადმყოფებს უბრალოდ ჰეპატიტოლოგისტიტის დიაგნოზი უტარებენ მკურნალობას. დაავადება კი პროგრესირებს და საკმაოდ ხშირად განიცდის ევოლუციას ლეიქოსის ციროზისა და ციროზ-კიბოში. სწორედ ასეთი ავადმყოფები წარმოადგენენ რესპუბლიკაში ამჟამად შექმნილი მძიმე ეპიდემიოლოგიური სიტუაციის ძირითად მიზეზს. ხანგასამით უნდა ითქვას ისიც, რომ სახელმწიფო კანონით აკრძალულია ინფექციურ ავადმყოფთა მომსახურება სამედიცინო კონსულტაციებში, რადგან ეს ინფექციის გავრცელების დიდ საფრთხეს ქმნის. რესპუბლიკაში შექმნილი სიტუაცია საგანგაშოა, ბოლო დროს ძალიან გაზრდა და იმძლავრა ექიმთა შობამ. ვირუსული ჰეპატიტით დაავადებულთა ნაწილი ლეიქოზის სხვადასხვა შინაურ „წამალს“ (დიონის, რუსთავის, რაქის, ზესტაფონის, ვაკის და სხვ.), რაც ამძიმებს დაავადების მიმდინარეობას და შემდეგ ეს ავადმყოფები

ხვდებიან ვირუსული ჰეპატიტების რესპუბლიკური ცენტრის კლინიკაში გაუარესებით, მეტად მძიმე მდგომარეობაში.

ექიმთაშორის ყველა ავადმყოფისათვის, ვისაც სიყვითლე აქვს, შეუსწავლელი წამლის დანიშვნა მართო უეცრება, ი არა, დანაშაულიცაა. ამ „წამლის“ იმედი დაკარგული ავადმყოფი ექიმს აღარ მიმართავს, გვიანდება დიაგნოზის დაზუსტება და სწორი მკურნალობა, რაც ავადმყოფს ხშირად სიცოცხლის ფასად უჯდება.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ყახბეგის ქუჩაზე... გაჩნდა შემდეგი შინაარსის განცხადება: „ემკურნალობ ბოტკინის და ბოტკინის შედეგად დაავადებულ ლეიქოს ბალახოვანი მკურნალებით. ავადმყოფები იკურნება საავადმყოფოში დაწვევის გარეშე 4 დღეში. დაწერილებითი ცნობები 18 სთ-ის შემდეგ. რუსთავი, ბარათაშვილის ქ. № 19-9“ (სტილი დაცულია).

უკანასკნელ ხანს ძალიან გახშირდა სხვადასხვა სასწაულმოქმედი სპეციალისტების რეკლამირება, რომელიც ერთდროულად უამრავ დაავადებას არჩენენ — ეს კი კარგა არაფერს მოგვიტანს. აღამიანის ჯანმრთელობისადმი ასეთი ზერელე მიდგომა სავალალო შედეგებს გაამრავლებს, რასაც უდიდესი ეროვნული და სოციალური მნიშვნელობა აქვს. დროა შეწყვიტოთ აფორტაჟი როგორც ტელევიზიით, ისე პრესის საშუალებით მკურნალობის სენსაციური მეთოდების ირგვლივ, დღეს მეტი გონიერულობა გვმართებს.

შვირფასო თანამემამულენო, უფრო ხილდით ამ ციხერ დაავადებას! დაავადების პირველი ნიშნების შემჩნევისთანავე სწორი დიაგნოზის დადგენისა და მკურნალობისათვის მიმართეთ რესპუბლიკური კლინიკური ინფექციური საავადმყოფის ბაზარზე არსებულ ვირუსული ჰეპატიტების რესპუბლიკური ცენტრსა და მის ფილიალებს. საფრთხეში ნუ ჩაავდებთ თქვენს სიცოცხლეს ტყიბაშის წამლის მიღებით.

საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოცულზრუნველყოფის სამინისტროს პრესცენტრი.



## რეკლამის მსურველთა საყურადღებოდ!

ვაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ რეკლამებისა და განცხადებების შესაკვეთად მიმართეთ სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკს“.

მისამართი: ბუდაბუშტის ქ. №1

ტელეფონი: 37-06-64 ან 37-58-25 ( 11.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე დასვენების დღეების გარდა).

საყოფაცხოვრებო შინაარსის განცხადებების გამოქვეყნების მსურველებმა („ვცვლი ბინას“, „გვესაჭიროება“, „ვყიდი“, „ვყიდულობ“, „ვასწავლი“, „ვაქირავებ“ და ა.შ.) მოგვმართეთ 15.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე.

შეგახსენებთ, რომ თორგანიზაციებისათვის გადასახადი ერთ კვადრატულ სანტიმეტრში 4 მანეთია, კერძო პირებისათვის იგივე ფართი — 2 მანეთი.

სარეკლამო სააგენტო  
„არგო-ბლიკი“

## კვირფასო თანამომავალენო!

სამ წელზე მეტია ლელა დავითის ასული ჭვლიძე იმედის თვალთ შესცქერის ექიმებს, რომლებიც უძღვრნი აღმოჩნდნენ განკურნონ საშიში დაავადება, რომელიც ლეიკოზის სახელითაა ცნობილი მედიცინაში.

იყოჩაღეს ლელას მოსწავლეებმა, უახლოესმა გულშემატკივრებმა, კეთილშობილმა უცნობმა ადამიანებმა და მის სახელზე ჩოხატაურის აგრომრეწვბანკში გახსნილია საქველმოქმედო ანგარიში — 71101. ამ ანგარიშზე ჯერჯერობით ჩარიცხულია დაახლოებით იმ თანხის მეათედი, რაც საჭიროა საზღვარგარეთ გასამგზავრებად და სამკურნალოდ. ამ ანგარიშზე შევიძლიათ გადარიცხოთ როგორც საბჭოთა მანეთი ასევე ვალუტა.

ექნებ გაგიჩნდეთ სურვილი — საპატიო წვლილი შეიტანოთ 32 წლის ახალგაზრდის სიცოცხლის გადარჩენაში. გწამდეთ, რომ კეთილი საქმე არ იკარგება. სანთელ-საკმეველი ყოველთვის იპოვის თავის გზას...

შეგახსენებთ ანგარიშის ნომერს — 71101  
ჩოხატაურის აგრომრეწვბანკი

სარეკლამო სააგენტო  
„არგო-ბლიკი“

## მცირე საწარმო «მსთეტი»

სამუშაოდ იწვევს სხვადასხვა სპეციალობის (დურგლებს, ელექტრიკებს, შემდეგლებს, მწნეხავეებს და სხვა) მუშა-მოსამსახურეებს, როგორც სამუშაოს სტაჟის ჩათვლით, ასევე ხელშეკრულების საფუძველზე.

შრომის ანაზღაურება მოხდება გამომუშავებით (450-დან 800 მანეთამდე).

ცნობებისათვის დარეკეთ ტელეფონზე: 39-48-27 (10.00 სთ-დან 18.00 სთ-მდე).

მისამართი: ალ.ვახუშტის ქ. №44 (ყოფილი პავლოვის ქ.პროსპექტი).

სარეკლამო სააგენტო  
„არგო-ბლიკი“

## ვიმდინარეობს მიღება

მსუბუქი ავტომობილების მძღოლთა მაღალკვალიფიციური მომზადების მოკლევადიან კურსებზე.

ცნობებისათვის დარეკეთ ტელეფონზე: 68-39-30 (14.00 სთ-დან 19.00 სთ-მდე).

მისამართი: გლდანის მე-3 მ/რ კორპუსი 74

სარეკლამო სააგენტო  
„არგო-ბლიკი“

## წიგნის მოყვარულთა საყურადღებოდ!

თბილისის „საქწიგნის“ მაღაზიებში მიიღეს ლადო ხვედურელის წიგნი „განკითხვა“, სადაც დაბეჭდილია ფელეტონები, იგავ-არაკები და სხვა საინტერესო მასალები.

ინჟანერთა შეიძინოთ!

## რეკლამა

ალმოსავლური  
ორთაბრძოლის კლუბი

ვიწვევთ „უზუ“ — აერობი-  
პა.

კლუბი დაკომპლექტებულია ჩი-  
ნელ-ქართული ერთობლივი  
მწვრთნელობით.

კლუბში მსურველებს შეუძლია-  
თ ჩაეწერონ განსხვავებულ ასი-  
კამდე 13-30 წ.

სწავლება ფასიანია.  
ჩვენი მისამართია:  
ფონიკალა,  
რუსთავის გზატკეცილი 20.

მიმდინარე წლის 15 მარტს თბი-  
ლისში, დიდუბის რაიონში, წერე-  
თლის გამზირზე იხსნება ახალი

207-ე ბავა-ბალი. განცხადებები  
მიიღება 1 მარტიდან. ბალის მისა-  
მართია წამათლის 77-8.

## რეკლამა

## სრულიად საპარტიველოს ადამიანთა უფლებების დაცვის ასოციაციის მიმართვა

საბჭოთა იმპერიაში შემავალი ყველა ერი, მეტროპოლისის ჩათვლით დღას ნაციონალური კატასტროფის წინაშე, კრემლის რეაქციული ძალები მზად არიან ნებისმიერი საშუალებებით გამოიყენონ დემოკრატიული პროცესების წინააღმდეგ.

თბილისი, ბაქო, ვილნიუსი, რიგა — აი, ის არასრული სია კრემლის იმპერიული პოლიტიკისა.

მოსკოვის დამსჯელი ოპრაციები იმდენად ძლიერია, თუ რამდენად ეწინააღმდეგება ამა თუ იმ ერის მიერ არჩეული განმათავისუფლებელი მოძრაობის გზა მის ინტერესებს.

იმპერიათაგან არც ე. წ. ეთნო-კონფლიქტების ინსპირირებაა უცხო. რუსულბლიკებში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ცენტრი ეთნოკური კონფლიქტების ვალვივებს უპირისპირებს. ბალტიისპირეთში თუ „ინტერფრონტა“ კრემლის დასაყრდენი, საქართველოში ასეთ ძალას ოპი ექსტრემისტები წარმოადგენენ.

ე. წ. საბჭოთა კავშირში მიმდინარე პროცესები იმდენად სწრაფად ვითარდება, რომ ძნელია გააკეთო სწორი პროგნოზი, მაგრამ ერთი კი ცხადია, გრძელდება საქართველოს მიმართ 1921 წელს დაწყებული ინტერვენცია და ქართველი ერის გენოციდი, ტერიტორიის დაკარგვის აშკარა საშიშროებებით. კრემლის ამგვარი პოლიტიკის განხორციელებას ხელს უწყობენ ოპი ექსტრემისტები. ამით ისინი მორალურ პასუხისმგებლობას აკისრებენ ოს მოსახლეობას.

სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის ასოციაციის აცხადებს, რომ დღეს საქართველო იმყოფება საომარ სიტუაციაში, — ამიტომაც ყველას დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება. ყოველი ვადამდელი ნაბიჯი ცივი გონებით უნდა იყოს ნაქარანხევი. სამაჩაბლოში მიმდინარე კონფლიქტის მოგვარება მაშინ იქნება შესაძლებელი, როდესაც მასში არ ჩაერევიან იმპერიული ძალები, ქართულ მილიციას კი ადვილობრვე მილი-

ციასთან ერთად მიეცემა მართლ-წესრიგის დამყარების საშუალება.


ასოციაციის წევრები მზად არიან მშვიდობისა და თანხმობის მოთხოვნით გამგზავრონ ცხინვალში. ჩვენი მშვიდობიანი მისია იქნება მოწოდებული იმისათვის, რომ შეწყდეს სისხლის ღვრა. ჩვენ არ გვინდა არავისგან უსაფრთხოების გარანტია, ვინაიდან გვწამს, რომ უიარაღო ხალხს არ გვესერიან და თუ გვესროლეს, სანუგეშოდ ისლა დარჩება, რომ ჩვენზე დახარჯული ტყვეთა სხეულები განვმარტავს.

ენმაუტება რა იმ პროცესებს, რომელიც საქართველოში მიმდინარეობს, ასოციაციას ყოველ დღე შევებლად მიანიჭა ყოველგვარი დესტაბილიზაცია და დაპირისპირება, ხელისუფლების სტრუქტურების პარალიზება, ვინაიდან შექმნილ ხელისუფლების ვაკუუმს „საარეზონდენტო მმართველობა“ შეაფხვებს, რომელსაც, ყველამ კარგად ვიცით, რაც მოჰყვება. სამაჩაბლოს პრობლემა დღესათვის ყველაზე მტიკონეული იდგის, ამიტომაც პირველ რიგში მას უნდა წამოიღებო.

ღმერთი არ გასწირავს საქართველოს.

სრულიად საპარტიველოს  
ადამიანის უფლებათა და-  
ცვის ასოციაციის მთავარი  
კომიტეტი.

25. 02. 91 წ.



«Ачалгарада Ивертели»

ტელეფონები: მისამართი — 92-97-81;  
პასუხისმგებელი მდივანი — 92-21-58;  
წერილების ყაწყილობა — 92-00-49.

ვაზეთი ბაგოლის კვირათი საფეხი  
საფეხბათს, სათუხათს, შავათს  
რედაქციაში შემოსული მასალები ავტო-  
რებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქცია  
ვაკა ბალაჩიშვილი

საქართველოს კ. ც. ს. სტამბა 380098, თბილისი-36, ჭ. კობახიძის ქ. № 14, იხილება  
ოქტომბრი წიგნი საგაზეთო კორპუსში, სომარიალის № 29  
8, 9, 12, 13, 14, 15 Наш выдате 68400

ქ. № 4, 5, 6, 7,

რედაქციის მისამართი  
ქ. თბილისი — 380098  
მ. კობახიძის ქ. № 14.

